ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

EU4Environment

Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

# გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის საპილოტე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)

## ტრენინგის დღის წესრიგი, სამუშაო ვერსია

**16 მარტი, 2022წ. თბილისის დროით 14:00 – 17:00**
**საქართველო, თბილისი**

COVID-19-ის გამო, ტრენინგი გაიმართება ონლიან რეჟიმში, ზუმის მეშვეობით. აღნიშნულ პლატფორმაზე შესასვლელად საჭირო დეტალური ინფორმაცია ყველა დარეგისტრირებულ მონაწილეს დაეგზავნება.

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

# ტრენინგი თემაზე:
## გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რეგულირების გეგმის საპილოტე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)

**16 მარტი, თბილისის დროით 14:00 საათი**

### ზოგადი ინფორმაცია

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) პროგრამის (2019–2023) ფარგლებში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) საქართველოს დახმარებას უწევს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, „საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, რომელშიც სრულად არის ასახული „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის“ სგშ-ს ოქმის და ევროკავშირის სგშ დირექტივის (2001/42/EC) მოთხოვნები.

2021 წლის ბოლოდან მოყოლებული, საქართველოში სგშ-ს პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს  და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თხოვნით, UNECE-მ მხარი დაუჭირა სგშ-ს საპილოტე პროექტის განხორციელებას ორი ურთერთდაკავშირებული სივრცული გეგმისთვის - „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა“ და „ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმა“. საპილოტე სგშ 2022-2023 წლებში განხორციელდება აღნიშნული ორი გეგმის შემუშავების პარალელურად.

საპილოტე სგშ უზრუნველყოფს პრაქტიკულ სწავლებას, სივრცითი გეგმების პროექტებში სგშ-ს გამოყენების მიზნით (რაც მოიცავს ანალიტიკურ და საკონსულტაციო სამუშაოს და, საჭიროების შემთხვევაში, მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისა და ხარისხის კონტროლისთვის და სხვ.). საპილოტე სგშ-ში ჩართული იქნებიან სგშ-ს ექსპერტები და თემატური ექსპერტები სივრცითი გეგმების გათვალისწინებით). წინამდებარე ონლაინ ტრენინგი ორგანიზებული იქნება ეროვნული ექსპერტებისთვის, რომლებიც ზემოხსენებული სივრცითი გეგმების საპილოტე სგშ-ს განხორციელებაში ჩაერთვებიან. ტრენინგზე ერთობლივად იქნება განხილული მოცემული პილოტის შესაბამისი სგშ-ის პროცედურის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ასევე, პილოტის განხორციელების საწყის ეტაპზევე მონაწილეები გაეცნობიან სგშ-ს გუნდის წევრებს და სხვა მონაწილე მხარეებს (მაგ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შერჩეული სივრცითი გეგმების შემმუშავებელ პირებს).

### ღონისძიების მიზნები

- სგშ-ს პრაქტიკული გამოყენებისთვის საჭირო შესაძლებლობების ამაღლება მუნიციპალური სივრცითი დაგეგმარების სფეროში (განსაკუთრებული აქცენტი სკოუპინგის ფაზაზე გაკეთდება)
- სივრცით გეგმებში სგშ-ს ეფექტიანი გამოყენების ძირითადი პრინციპების, მისი უპირატესობების, სამართლებრივი მოთხოვნების, პრაქტიკული ნაბიჯებისა და შედეგების გაცნობა.

ასევე მიღწეული იქნება შემდეგი შედეგები/სტრატეგიული სარგებელი:

- ღონისძიება ხელს შეუწყობს საპილოტე პროექტის წარმოჩენას როგორც რეკომენდებულ მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული სგშ სივრცის დაგეგმარებაში საქართველოში.

### მონაწილეები

შეხვედრას დაახლოებით 15 მონაწილე დაესწრება, რომელთა შორის იქნებიან: სივრცითი გეგმების საპილოტე სგშ-ს განმახორციელებელი ეროვნული ექსპერტები (სგშ-ს გუნდი), გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და აღნიშნული ორი სივრცითი გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი გუნდი.

### პრაქტიკული ინფორმაცია

ტრენინგი დისტანციურად გაიმართება ზუმის (Zoom) პლატფორმის მეშვეობით. ყველა მონაწილე დეტალურ ინფორმაციას მიიღებს აღნიშნულ პლატფორმაზე შემოსვლასთან დაკავშირებით. უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი ინგლისურ და ქართულ ენებზე.

### „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) პროგრამის შესახებ

„ევროკავშირი გარემოსთვის“ **(EU4Environment)** მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს ექვს პარტნიორ ქვეყანას: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა - დაიცვას მისი ბუნებრივი კაპიტალი და გააუმჯობესოს ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერის გზით, რაც აჩვენებს და იძლევა უფრო მწვანე ზრდის შესაძლებლობებს და ქმნის მექანიზმებს გარემოსდაცვითი რისკების და ზეგავლენის უკეთ მართვისთვის.

ღონისძიება დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ხუთი პარტნიორი ორგანიზაცია ახორციელებს: OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკი, 20 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტით. განხორციელების პერიოდი 2019-2023 წლებს მოიცავს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: EU4Environment@oecd.org

UNECE-ს მიერ კონკრეტულად სგშ-სა და ტრანსსასაზღვრო გზშ-სთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: leonid.kalashnyk@un.org

## დღის წესრიგი, სამუშაო ვერსია

| თბილისის დრო | საკითხი |
|---|---|
| **13:50 – 14:00** | კავშირის შემოწმება |
| **14:00 – 14:10** | **ტრენინგის დღის წესრიგის და თემების გაცნობა** |
| **14:10 – 15:15** | **სგშ-ს წარდგენა**<br>• სგშ-ს ამოცანები და სარგებელი - **დაგ ჰიკმანი**, სგშ-ს საერთაშორისო ექსპერტი;<br>• სივრცით გეგმებში სგშ-ს ეფექტიანი გამოყენების ძირითადი პრინციპები - **დაგ ჰიკმანი**, სგშ-ს საერთაშორისო ექსპერტი<br>• სივრცის დაგეგმარების სგშ-ს კარგი პრაქტიკის მაგალითები - **დაგ ჰიკმანი**, სგშ-ს საერთაშორისო ექსპერტი<br>**კითხვა-პასუხი**<br>• ეროვნულ დონეზე არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები გარემოსდაცვით კოდექსში სგშ-ს შეტანისთვის - **ირმა მელიქიშვილი**, ეროვნული კონსულტანტი<br>**კითხვა-პასუხი** |
| **15:15 – 15:30** | **შესვენება** |
| **15:30 – 16:50** | **სგშ-ს ეფექტური განხორციელების პრაქტიკული ასპექტები**<br>• სკოუპინგის მატრიცის მაგალითის გაცნობა - **დაგ ჰიკმანი,** სგშ-ს საერთაშორისო ექსპერტი<br>• გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმის სკოუპინგის მატრიცის მომზადება<br>- გეგმასთან დაკავშირებით, ჯანმრთელობისა და გარემოზე ზემოქმედების პოტენციური საკითხების გამოვლენა.<br>დისკუსიას გაუძღვებიან: **დაგ ჰიკმანი**, სგშ-ს საერთაშორისო ექსპერტი; **ირმა მელიქიშვილი**, ეროვნული კონსულტანტი **და ნინო მალაშხია**, ეროვნული ექსპერტი.<br>**კითხვა-პასუხი** |
| **16:50 -17:00** | **სამომავლო ნაბიჯები / ღონისძიების დახურვა** |